



დაავადებებზე ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის (დზეის) მიზანია ადამიანის და ცხოველთა დაავადებების მონიტორინგისა და პრევენციის გაძლიერება და მხარდაჭერა „ერთიანი ჯანმრთელობის“ კონცეფციის ფარგლებში და აგრეთვე საერთაშორისო

სამედიცინო-სანიტარული წესების (IHR) 2005 უზრუნველყოფის ხელშეწყობა. სისტემის საკვანძო მოდულებია: ადამიანის შემთხვევების მოდული, ვეტერინარული შემთხვევების მოდული, ვეტერინარული აქტიური ზედამხედველობის მოდული, ვექტორული ზედამხედველობის მოდული, ლაბორატორიული მოდული, ადმინისტრაციული მოდული და ანალიზის მოდული, რომელიც ასევე მოიცავს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) შესაძლებლობებს. დზეის-ის მეშვეობით ხდება შემთხვევის მონაცემების, დაავადება-სპეციფიური ინფორმაციის, შესაბამისი ნიმუშებით და შემთხვევასთან დაკავშირებული ლაბორატორიული მონაცემების და ჯამური მონაცემების მართვა. სისტემა უსაფრთხო და საიმედო კავშირის საფუძველზე აგროვებს და ავრცელებს მონაცემებს ახლო რეალური დროის რეჟიმში, უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას დესკტოპიდან (ინსტალირებადი ვერსია), ვებ-იდან და მობილური მოწყობილობებიდან, რისი საშუალებითაც ხდება დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ეროვნული ქსელის სხვადასხვა დონეების და ასევე სამინისტროების დაკავშირება. დზეის-ი უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემის საშუალებას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ინფექციური დაავადებების კომპიუტერული საინფორმაციო სისტემისთვის (CISID) და ასევე მონაცემთა ავტორიზირებულ გაზიარებას სხვა ელექტრონულ სისტემებთან ე.წ. ღია არქიტექტურის მოდულის გამოყენებით. დზეის-ის კონფიგურაცია მორგებადია თითოეული მონაწილე ქვეყნისათვის, ქვეყანაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად, როგორცაა დაავადებების ჩამონათვალი, ოფიციალური ანგარიშები, დაავადება-სპეციფიკური კვლევის ფორმები და სხვა. დზეის-ი პირველად დაინერგა საქართველოში 2004 წელს: პროგრამა დაყენდა სამ ობიექტზე: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (დკსჯეც) და ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში (ქუთაისის სჯც), რომლის ქვე-ობიექტებად დაყენდა ქუთაისის ინფექციური საავადმყოფო და ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო; ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში (სმსლ), რომლის ქვე-ობიექტებად დაყენდა ვეტერინარული ლაბორატორიები დუშეთში, მარნეულში, გორსა და გურჯაანში. დღეისათვის დზეის-მა განიცადა შემდეგი მოდიფიცირება: ალფა ვერსია, ბეტა ვერსია, ვერსია 1, ვერსია 2, ვერსია 3 და ვერსია 4. ამჟამად, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაყენებულია და გამოიყენება დზეის-ის მე-5 ვერსია.

2010 წელს დზეის-ის ქსელი გაფართოვდა და მოიცვა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა რეგიონალური და რაიონული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. ამის პარალელურად, სისტემაში ჩაიტვირთა ოფიციალური ყოველთვიური და წლიური ანგარიშების ფორმები (ფორმა IV-03 და ფორმა IV-03/1) ელექტრონული ანგარიშების უზრუნველყოფის მიზნით.

2011 წელს, დკსჯეც-მა გამოაცხადა დზეის-ის სატესტო ექსპლუატაციის პერიოდის დაწყება ქვეყნის მასშტაბით: 1 თებერვლიდან ყველა რეგიონალური და რაიონული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს და დკსჯეც-ის ფილიალებს დაევალით სისტემის ყოველდღიურად გამოყენება, როგორც ქაღალდის ფორმატიდან დზეის-ით ელექტრონულ ანგარიშებაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი. დკსჯეც-ის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ: 2012 წლის მაისში, სამინისტრომ გასცა ბრძანება #01-27N, რომლის საფუძველზე დზეის-ი დამტკიცებულ იქნა როგორც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ობიექტების და უწყებების ოფიციალური ანგარიშების სისტემა.

ამჟამად, დზეის-ის ქსელი საქართველოში მოიცავს 194 ობიექტს, რომელთა შორის 90 ობიექტი მიეკუთვნება ჯანდაცვის სამინისტროს, 102 ობიექტი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ობიექტებს და 2 ობიექტი კი ამ ორი სამინისტროსთვის საზიაროა. ჯანდაცვის სამინისტროს ობიექტები წარმოდგენილია დკსჯეც-ით და მისი ფილიალებით, რეგიონალური და

რაიონული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებით, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს და მობილური სადგურებით სავსე სამუშაოებისთვის. სისტემას იყენებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებების 350-ზე მეტი თანამშრომელი, ხოლო მათ მუშაობაზე დაკვირვებას ახორციელებს დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული ადმინისტრატორთა ჯგუფი. დეპარტამენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) პერსონალი უზრუნველყოფს სისტემის ტექნიკურ მხარდაჭერას. სისტემის კონფიგურაცია მორგებულია #01-27N ბრძანებაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების სიას, ნიმუშების და ლაბორატორიული ტესტის ტიპების ჩამონათვალს, დაავადება-სპეციფიური კვლევის ფორმებს და განახლებულ ოფიციალურ ანგარიშს „ფორმა IV-03“.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან, დზეის-ში მუშაობენ სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონალური, რაიონული და ცენტრალური დონეების ვეტერინარები, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია და მის დაქვემდებარებაში არსებული რეგიონალური ფილიალები.

ამჟამად დზეის-ი გამოიყენება როგორც ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი საშუალება ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის.

აშშ თავდაცვის დეპარტამენტმა, თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტომ შეიმუშავა დზეის-ი ერთობლივი ბიოლოგიური

ჩართულობის პროგრამის (CBEP) ფარგლებში. ამერიკული კომპანია „Black and Veatch“ წარმოადგენს ამ სისტემის გენერალურ

კონტრაქტორს. შემდეგ დაწესებულებებს საკუთარი გამოცდილების საფუძველზე წვლილი შეაქვთ დზეის-ის შემუშავების

პროცესში: აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC), ვოლტერ რიდის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტი (WRAIR), ამერიკის შეერთებული შტატების ინფექციური დაავადებების სამხედრო სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი (USAMRIID), ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (USDA), საზღვაო სამედიცინო კვლევითი ცენტრი (NMRC), ერთობლივი საუნივერსიტეტო პარტნიორობა (JUP), შეიარაღებული ძალების ჯანმრთელობისა და ეპიდემიოლოგიის ცენტრი (AFHSC) და კორპორაცია Northrop Grumman. დზეის-ის თანადაფინანსება ხორციელდება საქართველოს ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მხრიდან.